

სააქციო საზოგადოება „ელეგანტი“
2023 წლის

საერთო დანიშნულების ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

თბილისი
2024

სს „ელეგანტის“ ინდივიდუალური საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ელეგანტი“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. სს „ელეგანტი“ (შემდეგში ორგანიზაცია) რეგისტრირებულია 31.12.1996 წ. განუსაზღვრელი ფუნქციონირების ვადით; სს „ელეგანტის“ გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდია 209436948. სს „ელეგანტის“ გენერალური დირექტორია ზურაბ გამყრელიძე (პირ. # 01002012823). მთავარი ბუღალტრი ნანული ლევანიძე (პირ. # 01036005176). იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, გლდანი, ო. ხიზანიშვილის # 13. ორგანიზაცია 2006 წლიდან არის დღგ-ს გადამხდელი: სერტიფიკატი # 072005. სს „ელეგანტის“ სადამფუძნებლო დოკუმენტებით რეგისტრირებული სააქციო კაპიტალი შეადგენს 336,551 აშშ დოლარი და 493,712 ექვივალენტი ეროვნული ვალუტით. გამოშვებულია ჩვეულებრივი, სახელობითი აქციები. ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 აშშ დოლარის ექვ. ეროვნულ ვალუტაში.

სს „ელეგანტის“ საქმიანობა არის საკუთრებაში არსებული კომერციული ფართების გაქირავებით მომსახურების გაწევა იურიდიული და მეწარმე ფიზიკური პირებისათვის.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებული და წარდგენილია მსს ფასს პრინციპების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენის ვალუტა არის ეროვნული ვალუტა - ლარი. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა იდენტურია.

სს „ელეგანტი“ ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ითვალისწინებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპს და დაშვებას, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში და კომპანიის აქციონერებს და მენეჯმენტს სურვილი აქვთ განაგრძონ საწარმოს საქმიანობა საქართველოში.

სს „ელეგანტის“ საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

სს „ელეგანტის“ სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის ლარი.

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე. სს „ელეგანტი“ კონტრაგენტებთან ანგარიშსწორებას ახორციელებს ეროვნული ვალუტით - ლარი.

საანგარიშსწორები ოპერაციების განსახორციელებლად „თიბისი“ ბანკში გახსნილი აქვს საანგარიშსწორებო ანგარიში -# GE21TB7503936020100003.

ორგანიზაციის ფულადი საშუალებები

ფულადი საშუალებები	2023	2022
ფული სალაროში	3,589	3,532
ფული საბანკო ანგარიშზე	123,888	86,266
ჯამი	127,477	89,798

სს „ელეგანტი“ უცხოური ვალუტით წარმოებულ ოპერაციებს არ ახორციელებს.

4. მოთხოვნები

ორგანიზაციაში სავაჭრო მოთხოვნები წარმოიქმნება მომსახურების შემდგომი გადახდის პირობით მიწოდებით.

სხვა მოთხოვნები მოიცავს: წინასწარ გადახდილ გადასახადებს 81,907 ლარს, გადახდილ ავანსს-4,276 ლარს და 115,038 ლარის მოთხოვნას მოქ. ავთანდილ საყვარელიძის მიმართ. მოქ. ავთანდილ საყვარელიძესთან მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომლის დადებითად გადაწყვეტის პერსპექტივა არ იკვეთება. შესაბამისად, ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში:

მოთხოვნები	2023	2022
სავაჭრო დებიტორები	67,291	128,398
სხვა მოთხოვნები	201,221	208,723
ჯამი	268,512	337,121

ორგანიზაცია გარკვეული პერიოდულობით აანალიზებს სავაჭრო დებიტორული დავალიანების ხანდაზმულობას და თანხების ამოღებასთან დაკავშირებულ რისკებს. ამ ეტაპზე საწარმოს არსებითი მოცულობის საექვო დებიტორული დავალიანებები არ ერიცხება.

5. მარაგები

მარაგები ორგანიზაციას არ აქვს. სამეურნეო საქმიანობის მიხედვით იძენს საჭირო რაოდენობის ფასეულობებს, კერძოდ: ძირითადად ელექტრო-ნათურებს, საკანცელარიო ნივთებს, სან-ჰიგიენურ საგნებს. მარაგების შესყიდვა აღირიცხება პერიოდული მეთოდით, და შესაბამისად შესყიდვის ღირებულებით ჩამოიწერება ხარჯებში.

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით. შესყიდული კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამის შეფასება მოხდა იმ დანახარჯებით, რომელიც პირდაპირ არის

დაკავშირებული ამ აქტივის შეძენასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. პროგრამის სასარგებლო მოხმარების ვადა შეადგენდა 10 წელს და მოცემული მომენტისათვის სრულად ამორტიზებულია. ვინაიდან გრძელდება მისი გამოყენება მიზანშეწონილია ტესტირება სასარგებლო გამოყენების ვადისა და რეალური ღირებულების დადგენის მიზნით. ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში:

	2023			2022		
	თვითღირ ებულება	ცვეთ ა	საბალანსო ღირებულებ ა	თვითღირ ებულება	ცვეთ ა	საბალანსო ღირებულებ ა
არამატერიალური აქტივები						
საბუღალტრო პროგრამა- სუპერფინი	1,551	1,551	0	1,551	1,551	0

7. ძირითადი საშუალებები

აქტივები, რომლის გამოყენების ვადა აღემატება 1 წელს აღრიცხება ძირითად საშუალებად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება და შეფასება ხდება შესყიდვის ღირებულებით მათზე გაწეული დანახარჯების გათვალისწინებით. ორგანიზაციას აქვს ერთი შენობა, რომელიც აღრიცხება გადაფასებული ღირებულებით,

ძირითადი საშუალებებს ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით ცალკეული აქტივი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება შეძენილი ან საკუთარი ძალებით შექმნილი ობიექტის ექსპლოატაციაში გადაცემის მომენტიდან.

მიწა არაცვეთადი აქტივია და შესაბამისად ცვეთა არ ერიცხება.

ინფორმაცია ორგანიზაციის ძირითადი საშუალებების თვითღირებულების, დაგროვილი ცვეთისა და საბალანსო ღირებულების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში:

	2023			2022		
	თვითღირ ებულება	ცვეთა	საბალანს ო ღირებულ ება	თვითღირ ებულება	ცვეთა	საბალანსო ღირებულე ბა
ძირითადი საშუალებები						
მიწა	1,850		1,850	1,850		1,850
შენობები	5,676,307	-3,016,683	2,659,624	5,649,049	-2,832,713	2,816,336
ნაგებობები	94,365	-42,491	51,874	94,263	-37,961	56,302
მანქანა-დანადგარები	75,050	-44,946	30,104	74,819	-40,930	33,889
ოფისის აღჭურვილობა	34,037	-27,213	6,824	34,037	-22,094	11,943
ავეჯიდასხვანვენტარი	13,072	-11,683	1,389	13,072	-11,254	1,818
	5,894,681	-3,143,017	2,751,664	5,867,090	2,944,952	2,922,160

8. ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონელისა და მომსახურებისათვის, რომელიც ორგანიზაციამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. ორგანიზაციას ხანდაზმული და ვადაგადაცილებული ვალდებულებები არ ერიცხება.

2019 წლის 1 იანვრიდან სს „ელეგანტი“ ჩართულია საპენსიო სქემაში. 2023წ. ორგანიზაციას საპენსიო ფონდის მიმართ ვალდებულება არ ერიცხება.

სავაჭრო ვალდებულებების სახით ერიცხება დეკემბრის თვის ელექტროენერგიის, წყალისა და დასუფთავების ღირებულება, რომელიც დაფარულია ბალანსის შედგენის თარიღის მომდევნო თვეშივე.

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და მისი გამოქვითვა ხდება საკუთარი კაპიტალიდან. 2023 წელს საწარმოს დივიდენდი არ გაუცია. შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში:

ვალდებულებები	2023	2022
სავაჭრო კრედიტორები	13453	13,922
გადასახდელი გადასახადები	-	-
სხვა ვალდებულებები	341	341
მ.შ.		
გადასახდელი პროცენტი	-	
გასაცემი დივიდენდები	341	341
ჯამი	13,794	14,263

9. ბანკის სესხები

სს „ელეგანტს“ 2018 წელის სექტემბერში სს „თიბისი“ ბანკთან გააფორმა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება #1675039-10088546, კრედიტის თანხა 100,000 ლარი, ვადა 5 წელი, წლიური საპროცენტო განაკვეთი 12% (რეფინანსირების განაკვეთი +5%).

ორგანიზაციას სასესხო ხელშეკრულების პირობები დარღვეული არა აქვს. სესხის ძირითადი თანხა და სარგებელისაწარმომ დაფარა დადგენილი მოცულობით და გრაფიკით.

ბანკის სესხები	2023	2022
მოკლევადიანი სესხი	-	15,898
გრძელვადიანი სესხი	-	-
სულ	-	15,898

გადასახადები:

გადასახადები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

საწარმო 2017 წლის 1 იანვრიდან დასაბეგრი ბრუნვის არსებობის მიხედვით იხდის გადასახადს განაწილებული მოგებიდან.

შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში:

დარიცხული გადასახადები	2023	2022
დღგ	217927	278397
ქონების გადასახადი	28350	30118
მიწის გადასახადი	1622	1622
საშემოსავლო გადასახადი	262968	261682
გადასახადი განაწილებული მოგებიდან	-	-
სულ დარიცხულია	564867	571819

2023 წელის განმავლობაში ბიუჯეტში გადახდილია 535,000 ლარი.

10. საკუთარი კაპიტალი

სს „ელეგანტის“ საკუთარი კაპიტალის ელემენტები და ფორმირება

	სააქციო კაპიტალი	აქციების გამოშვება/(გამოსყიდვა)	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება დაუფარავი ზარალი	სარეზერვო კაპიტალი	სულ კაპიტალი
2021 წ 31 დეკემბერი	377,028	(2,100)	2,623,317	61,522	415,890	3,475,657
2022 წლის გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი)				(156,738)		(156,738)
გადასახადი განაწილებული მოგებიდან						
გადაფასების რეზერვის ამორტიზაცია			(165,618)			(165,618)
სხვა სრული შემოსავალი				165,618		165,618
2022 წ 31 დეკემბერი	377,028	(2,100)	2,457,699	70,401	415,890	3,318,918
2023 წლის გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი)				(185059)		(185059)
გადასახადი განაწილებული მოგებიდან						
გადაფასების რეზერვის ამორტიზაცია			(165,618)			(165,618)
სხვა სრული შემოსავალი				165,618		165,618
2023 წ 31 დეკემბერი	377,028	(2,100)	2,292,081	50960	415,890	3,133,859

გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)

საზოგადოების 2021 წელის საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგია 98,692 ლარი ზარალი, სხვა სრულიშემოსავალი 149,320 ლარია. შესაბამისად, 2021 საანგარიშგებო წლის მთლიანი სრული შემოსავალი 50,628 ლარს შეადგენს.

მაჩვენებლები	2023	2022
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი (ზარალი)	(185059)	(156,738)

სხვა სრული შემოსავალი (ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი)	165,618	165,618
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)	(19441)	8,880
გაცემული დივიდენდი	-	-
გადასახადი განაწილებული მოგებიდან	-	-
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის დასაწყისი	70,401	61,522
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის ბოლოს	50960	70,401

გადაფასების რეზერვი

გადაფასების რეზერვის 2,954,553 ლარის მთლიანი ამორტიზებული ნაწილი 496,854 ლარია და ბალანსში ასახულია თანხით 2,457,699 ლარი.

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში

2023 წელის საწარმოს განაწილებული მოგების გადასახადით დასაბეგრი ბრუნვა არ ქონია. შესაბამისად გადასახადი 0 ლარია.

კაპიტალის სხვა ცვლილებები (გადაფასების რეზერვი)

შენობის გადაფასების რეზერვის ამორტიზაციის ჩართვა სხვა სრულ შემოსავალში თანხით 165,618 ლარი.

11. შემოსავალი

ორგანიზაციის საქმიანობა არის სხვადასხვა კატეგორიის სავაჭრო ფართების გაქირავება მოიჯარეებზე. იჯარეები კლასიფიცირებულია საოპერაციო იჯარად. ორგანიზაციასაიჯარო შემოსავლებს აღიარებს და აღრიცხავს ხელშეკრულების ვადის განმავლობაში თანაბარზომიერად (წრფივად). შემოსავალი განისაზღვრება მოიჯარესთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული მისაღები ანაზღაურების მიხედვით. ორგანიზაცია შემოსავალს აღიარებს მომსახურების გაწევის.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადის -დღგ-ს გამოკლებით.

შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, იმ საანგარიშო თვეში, როდესაც მომსახურება იქნა გაწეული, მიუხედავად იმისა მიღებულია თუ არა ფულადი სახსრები. მომხმარებლებთან ანგარიშსწორების აღრიცხვის დოკუმენტებია: ხელშეკრულება, ინვოისი, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, შედარების აქტი.

შემოსავალი	2023	2022
ამონაგები რეალიზაციიდან	1,526,494	1,561,885
სხვა	-	-
სულ	1,526,494	1,561,885

12. ხარჯები


ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად იმ პერიოდისათვის როდესაც ხარჯი იქნა გაწეული.


სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება -ზარალში, როდესაც იგი იქნა გაწეული.

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო სქემაში და დაზღვევა, წლიური შვებულებები, პრემიები და სხვა სარგებელი აღირიცხება იმ პერიოდში, როცა ხდება თანამშრომლებისგან მომსახურების მიღება.

ხარჯები	2023	2022
ხარჯები სულ	1,711,553	1,718,623
მ.შ. საოპერაციო ხარჯები	1,711,433	1,718,503
მ.შ. ხელფასის ხარჯი	1,308,842	1,311,046
ცვეთა და ამორტიზაცია	198,063	197,681
პროცენტის ხარჯი	1,035	4,004
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები სულ	203,493	205,772
მ.შ.		
ელექტროენერგიის ხარჯი	69,340	69,156
წყლის ხარჯი	29,545	30,358
ბუნებრივი აირის ხარჯი	4,498	4,946
დასუფთავების ხარჯი	16,300	16,300
საგადასახადო ხარჯი	29,973	31,741
ქონების დაზღვევის ხარჯი	10,500	10,500
იურიდიული მომსახურება	20,625	21,625
სხვა საოპერაციო ხარჯები	22,712	21,146
არასაოპერაციო ხარჯები	120	120

პანდემიის შემდგომ პერიოდებში გარკვეულწილად უმჯობესდა ბაკომპანიის რიგ მაჩვენებელი. კერძოდ: საბიუჯეტო გადახდების ნაწილში არის დადებითი ბალანსი, გაუმჯობესებულია შრომის ანაზღაურების პოლიტიკა, საწარმოს ეკონომიკური რესურსებით უზრუნველყოფა ხორციელდება საკუთარი წყაროებით.

სს „ელეგანტის“ გენერალური დირექტორი  ზურაბ გამყრელიძე

მთავარი ბუღალტერი  ნანული ლევანიძე

30.07.2024 წ



ფორმა N1 ფინანსური მდგომარეობა 2023 წელი			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	127477	89798	94909
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	67291	128398	195747
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	119314	118399	127565
მარაგები	0	0	0
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	81907	90324	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	2751664	2922160	3108966
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	3147653	3349079	3527187
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	13453	13922	16751
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	15898	18623
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	15839
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	341	341	341
სულ ვალდებულებები	13794	30161	51554
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	377028	377028	377028
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-2100	-2100	-2100
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	50960	70401	61498
გადაფასების რეზერვი	2292081	2457699	2623317
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	415890	415890	415890
სულ საკუთარი კაპიტალი	3133859	3318918	3475633
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3147653	3349079	3527187
სულ მოკლევადიანი აქტივები	395989	426919	418221
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	13794	30161	35715

ს.ს. „ელევანტის“ გენერალური დირექტორი: *ზ. კაპიხიძე* ზურაბ გამყრელიძე
 მთავარი ბუღალტერი *[ხელმოწერა]* ნანული ლევანიძე



ფორმა N2 საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	1526494	1561885
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	1526494	1561885
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1526494	1561885
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1308842	-1311046
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-198063	-197681
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-1035	-4004
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-203493	-205772
სულ საოპერაციო ხარჯები	-1711433	-1718503
საოპერაციო მოგება	-184939	-156618
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-120	-120
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-185059	-156738
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-185059	-156738
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	165618	165618
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	165618	165618
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-19441	8880
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3318918	3475633
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	23
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-165618	-165618
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3133859	3318918

გენ. დირექტორი **ზ. გამყყელიძე** ზურაბ გამყრელიძე
 მთავარი ბუღალტერი  ნანული ლევანიძე



ს.ს. „ელეგანტი“ ს/ნ 209436948

ფორმა N3 ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	81168	29154
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-27591	-15702
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-15898	-18563
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	37679	-5111
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	89798	94909
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	127477	89798

გენ. დირექტორი
მთავარი ბუღალტერი

გ. გამყისელი

ზურაბ გამყრელიძე
ნანული ლევანიძე



	2023	2022
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3318919	3475657
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-19441	8880
კაპიტალის სხვა ცვლილებები (გადაფასების რეზერვი)	-165618	-165618
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3133860	3318919

გენ. დირექტორი
მთავარი ბუღალტერი

გ. გამყისელი

ზურაბ გამყრელიძე
ნანული ლევანიძე

